სამშაბათი, 6 იანვარი 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-და მეერვე 1904

სამშაბათი, 6 იანვარ

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ. — კ.
11 ,, . .	9 ,, 50 ,,
10 ,, . .	8 ,, 75 ,,
9 ,, . .	8 ,, — ,,
8 ,, . .	7 ,, 25 ,,
7 ,, . .	6 ,, 50 ,,
6 ,, . .	6 ,, ,,
5 ,, . .	5 ,, 50 ,,
4 ,, . .	4 ,, 75 ,,
3 ,, . .	3 ,, 50 ,,
2 ,, . .	2 ,, 75 ,,
1 ,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 4 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 4

წლიურის ფასის ნ
ნაწილად შემოტანის
1. ხელის მოწერის დრ
5 მ. და თიბათვის 1-ს—5
2. ხელის მოწერის დრო
4 მ., მარტის 1-ს—3 მან.
მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის
3 მ., მარტის 1-ს—
ბათვის 1 ს—2 მ. და
სთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ
შემოიტანს, გაზეთის
მოესპობა.

დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამოვა ხუთშაბათს, 8 იანვარს.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა“** („Воскресеніе“) და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი“** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

5 მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის“ **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბურთალოში:—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

იმპერატორ ალექსანდრე III-ის სახსოვრად არსებულის რუსეთის საისტორიო განათლების გულ-შემატკივართა საზოგადოების ტფილისის განყოფილების თავმჯდომარე სთხოვს ყველას, ვისაც სურს პატივი სცეს ამ საზოგადოების განყოფილების განსვენებულ წევრის—დამფუძნებლის

ვასილ ლეონის ძის ველიჩკოს

[illegible], მობრძანდნენ პანაშვიდზედ, რომელიც დანიშნულია მისის სულის მოსახსენებლად სამხედრო ტაძარში, ოთხშაბათს 7 იანვარს, საღამოს 6 საათზედ, განსვენების მეცხრე დღეზედ

1—1

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემლიძე.**

ახალოშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის საღამოს 5—7, ხოლო კვირა-უქმეობით —1-მდის საღამ. 5—7-დის (წლ.)

ე ქ ი მ ი
ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლაოზის ქუჩა, № 46.

სამშაბათს 1904 წლის იანვრის 6 ტფილისის „კრუჟოკ“-ის დარბაზში გაიმართება

მეჯლისი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ

ფასი 2 მან. 10 კაპ.

ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამოქალაქოთათვის, რომელნიც ცეკვენ, ფრაკი სავალდებულოა.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 6 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

დამნაშავეა?

დრამა 3 მოქ. ფოსისა თარ. ნიკიტინისა.

II

პარიკმახერისას

ვოდ. 1 მოქმ. რ. ერისთავისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, ნებიერიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. ხვიმონიძე, სათარიშვილი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი შალიკაშვილი. სარჯველაძე.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ღალატი“ სუმბათაშვილისა თარ. გრ. ყიფშიძისა.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 8 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

დამნაშავის ოჯახი

დრამა 5 მოქ. თარ. ჯაჯანაშვილისა.

კორრადოს როლს შეასრულებს ვ. ალექსი-მესხიშვილი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: ნ. ჩხეიძის საბენეფისოთ „მუშაკი და ნებიერი“.

რეჟისორი **აკაკი.**

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემული საქართველოს

კალენდარი

ვ. გუნიასი

რედაქცია ვ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარში მოთავსებულია სრულიად ახლად შესწორებული შემდეგი განყოფილებანი:.. 1. საეკლესიო კალენდარი, 2. ცა და დედამიწა ასტრონომიულ-გეოლოგიური ცნობები. 3. სახელმწიფოთა მმართველი, 4 კავკასია და საქართველო, 5. ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რკინის გზა, გემების მიმოსვლა, 6. იურიდიული ცნობები, 7 წონა, ზომა, საწყაო და სხ., 8. სათავსხო და საექიმო ცნობები, 9. სალიტერატურო განყოფილება, 10. ვრცელი საადრესო კალენდარი.—კალენდარში დაბეჭდილია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: ა) სარწმუნოება საქართველოში, მ. ჯანაშვილისა, ბ) ცა და დედამიწა, X-ისა, გ) სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები, დ) საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ე) ქართული მწერლობა, პ. უმიკაშვილისა, ვ) ენა და ერი, პ. სურგულაძისა და სხვ.

კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათით. კალენდარი შეიცავს 800-მდე გვერდს. ფასი ერთი მანეთი.

3—1

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 6 **იანვარს** 1904 წ.

წარმოდგენილი იქნება

რუსალკა

ოპერა 6 სურ. 4 მოქ, აპოთეოზით მუს. დარგომიჟსკისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ენკვისტი, კალინინისა; ბორინინისა, ბ-ნნი: რაისკი, სანგურსკი, გავრილოვი და რაზუმნი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

კაპელმაისტერი ბ-ნი პოგზენი

მის უდიდებულესობის ნ. ნ. ფიგნერის და არტისტის ბრაჯი-მუტინისა წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტტო“ ოპერა 4 მოქ. მუს. ვერდისა. მონაწილეობენ ბ-ნები კარტავინა, კარრი, ლეპინა, სკორუპსკისა, ბბ-ნები: ფიგნერი, ბრაჯი-მუტინი, ფედოროვი, კლიუნერი, გრინიოვი.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, [illegible] (Набережная) [illegible] ლის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჯ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშა და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საა გან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშა ბით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგი ლის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერ პია)

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექ როტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავა მყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 ს ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავ ბისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არჩვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიბით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მ ცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра сардіана. Тифлисъ противъ памят ронцова.

წლ.

ტფილისი, 6 იანვარი.

შორეული აღმოსავლეთი თოფი წამლის სუნსა ჰყნოსავდა ამ რამო [illegible] დღენიმე კვირის წინად. რუსეთ-ი [illegible] პონიის ომს იქ დღე-დღეზე [illegible] ელოდნენ და [illegible] ტალღები მალე რუსეთ-იაპ [illegible] სისხლით შეიღებებოდა.

როგორც უკანასკნელი [illegible]ები იუწყება, რუსეთ-იაპონიის მ [illegible] პარაკება თითქმის დასრულდა; რ [illegible] თის წარმომადგენელმა იაპონიაში [illegible] სკნელი პასუხი მისცა იაპონიის მთავრობას. შინაარსი ამ პასუხის [illegible] არაა გამოქვეყნებული, მაგრამ, როგორც გაზეთები სწერენ, ამ პასუხმა დიდათ შეაფიქრიანა და შეაწუხა იაპონიის მთავრობა. სამინისტრომ განიხილა ეს პასუხი და რუსეთის წარმომადგენელს უკანვე დაუბრუნა იმ თხოვნით, რომ ზოგიერთ მუხლები მაინც შეიცვალოსო. [illegible] რამ საეჭვოა, რომ ეს თხოვნა [illegible] ყნარებულ იქმნას იმდენად [illegible] იაპონია დაკმაყოფილდე [illegible]

რუსეთსაც ჩაუბარებ [illegible] პონიისათვის, თუმცა-კი [illegible] ნამდვილად მისი შინაარსი [illegible]

ამ გვარად რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება თავდება, [illegible] ამით აღმოსავლეთის საქმეს [illegible] ლო სულაც არ ელება; იგი უფრო წვავდება და რთულდება. როგორც ეტყობა, რუსეთის პოლიტიკა [illegible] ულ აღმოსავლეთში [illegible] სჭრის და მოწინაა [illegible] ვაც კი არა სურს; რუს [illegible] ნიას არამც თუ მანჯურიის, კ [illegible] ს საქმეშიაც-კი არაფერს უთმობს და, ვგონებთ, ასრეთი შინაარსისა უნდა იყოს რუსეთის უკანასკნელი პასუხი. რუსეთის ასრეთი პოლიტ კა სრულიად ლოღიკურია და ა ეწინააღმდეგება მის წინანდელ სა ციელს. შორეულ აღმოსავლეთ ფეხის მოსამაგრებლად რუსე პორტ-არტური და ვლადივოსტ გაამაგრა. აქედგან თვალი ფხიზ ეჭირება ჩინეთის მახლობელ [illegible] ვარზე და მის დედა-ქალაქ პეკინ და რომ ევროპის ხომალდებისა ა ეფიქრებოდეს, მისთვის საჭირო დიდ-ოკეანეზე გამაგრება. ამისთ დიდად საჭიროა პორტ-არტური ვლადივოსტოკი. ამ ორ სიმაგრ კი შუაში კორეია [illegible]

ო ნავთ-სადგურებით. ეს პა ახევარ-კუნძული ორად ჰყოფს ის ძალას და იქ ძრიე- მტრის ჩათესლე აბა, რა მოვნოა რუსეთისთვის. ტყუი- კი ა ამტკიცებენ იაპონიის დნე კაცნი, რომ უკორეოდ ეთის ძლიერება შორეულ აღ- ვლეთში უმნიშვნელოაო. რუ ალბად კარგად ესმის ეს, აც ცდილობს კორეაც თა- ქაზე აღნიშნოს და ამისათვის კი არ ერიდება. მაგ- რც იაპონიას სურს დაჩაგ- ა რიცხვში ჩაეწეროს. ერი ად თხოულობს მთავრობის უსეთთან ომს და არც მთავ- არის უარს, თუ გაჭირდა იარაღი აისხას როგორც ამას ე იაპონიის მთავრობის ერთმა ენიანმა კაცმა სთქვა, ტოკიოს ვრობა უფრთხის ომს, მაგრამ საქმე მშვიდობიანად არ გადაწ- დება, ომს არ დაერიდება, თუნ- აც ომმა მთელის სახელმწიფოს დნიერებაც კი მსხვერპლად შეი- იროს...

სეთია შორეულ აღმოსავლეთის ომავალი. მოხერხებული ინგლისი ი ცდილობს თვისდა სასარგებლოდ ამოიყენოს ამგვარი კრიტიკული გომარეობა და მღვრიე წყალში ვზე დაიჭიროს. იაპონიას რუ- ეთთან საომრად აქეზებს და თვით თიბეთში მიემგზავრება. მისი ამხედრო ექსპედიცია ჩქარა თიბე- ის სატახტო ქალაქს ლასსაში მი მოსალაპარაკებლად. ეტყობა გლისი ინდოეთიდგან მახლობელ იბეთში აბიჯებს და აქ თვის გავ- ენის და პროტექტორატის დამ- დრებას სცდილობს. ამასაც არ რდება და, როგორც ამბობენ, ციმბირის ლიანდაგის და უსეთის ჩინეთზე გავლენის შესა- ირებლად ინდოეთის თიბეთზე ინთან შეერთებას ფიქრობს. ამ ებმა დიდად შეაფიქრიანა რუსე- ი. ლონდონის გაზეთები ამტკიცე- ნ, რომ რუსეთიც სცდილობს ვის მხრივ თიბეთში მოსა- ვრე სიმაგრეები დაიჭიროს და ომც აზრადა აქვს ინგლისის პა უხად პეკინში თავის ჯარი გაჰგ- ზავნოს. თუ ეს ხმები გამართლდა, ასაკვირველია, დიდად აირევ დაი- ება შორეულ აღმოსავლეთის ევროპის საქმეები.

ტფილისი

გავახსენებთ მკითხველთ, რომ დღეს, 6 იანვარს, ტფილისის კრუჟოკში დანიშნუ- ია თავად-აზნაურობის მეჯლისი სათავად- ზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

როგორც გავიგეთ, უკვე შესდგომიან თავ. ა. სუმბათაშვილის დრამის ღალატის“ მალოროსიულად თარგმნას.

მეორე გილდის ვაჭარმა არაქელ ების ძე ტერ-აკოფოვმა განუცხადა ვაჟთა მეორე გიმნაზიის ადმინისტრაციას, გიმნაზიისათვის საკუთარ შენობის ასაგებად მე ვწირავ გიმნაზიას 2000 ოთხ.-კ. საჟ. ადგილს იმ პირობით, რომ ამ სასწავლებელში 6 მოსწავლე უფასოდ გაიზარდოს. მოსწავლენი უნდა იყვნენ ტფილისის მცხოვრებნიო.

თავ. დიმიტრი ჭავჭავაძე დაინიშნა ახალქალაქის მაზრის პირველ ნაწილის მომრიგებელ შუაკაცად.

სამშაბათს, 13 იანვარს, დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრებამ არსებითად უნდა განიხილოს ღვინის კანონის პროექტი, შემუშავებული განსაკუთრებულ კომისიისაგან.

6 იანვარს ტფილისში დაიწყება გასტროლები სახელ-განთქმულ მსახიობ ქალის ვ. ფ. კომისარჟევსკაიასი. მის მონაწილეობით ოთხი წარმოდგენა გაიმართება ტფილისის სარტისტო საზოგადოების თეატრში ბ-ნ კრასოვის დასის მიერ.

15 იანვარს დანიშნულია საზოგადო წლიური კრება ტფილისის საკრებულოს წევრთა. კრებამ უნდა აირჩიოს წევრნი, სარევიზიო კომისიისა და განიხილოს ანგარიში 1903 წლისა და ხარჯთ-აღრიცხვა 1904 წ.

10 იანვარს ტფილისის სარტისტო საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრებაა დანიშნული.

კვირას, 4 იანვარს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ ვ. ლ. ველიჩკოს სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ტფილისის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას 1903 წელს 130 წევრი ჰყოლია. ამ წელს 40 სტიპენდიანტი ჰყოლია. საზოგსდოებას მოსწავლეთათვის შემწეობა აღმოუჩენია ზოგი ფულით, ზოგიც ტანსაცმლის ყიდვით. საზოგადოების შემოსავლის უმთავრესი წყაროები არის საწევრო ფული და 1000 მანეთი, რომელსაც ყოველ წლივ ქალაქი აძლევს. შემწეობა ფულითა თუ ტანისამოსით საზოგადოებას 1903 წლის განმავლობაში 589 მოსწავლეთათვის აღმოუჩენია.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ ჩაიბარა უკვე დამთავრებული შენობა ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის. რაზმი ძველ შენობაში ორთვეს კიდევ დარჩება და შემდეგ ახალს შენობაში დაბინავდება.

— საამშენებლო განყოფილებას დაავალა ქალაქის გამგეობამ, შეიმუშავე პროექტი პოლიცმეისტრის სამართველოსა და სადგომის აშენებისაო. ეს შენობა უნდა აგონ ცეცხლის მქრობელ რაზმის შენობის ახლო, ქალაქის ადგილზე.

სამეურნეო საზოგადოება შეეკითხა პეტერბურგში, როდის დაიწყება საგანგებო ბჭობა მეღვინეობისა და მევენახეობის შესახებაო. იქიდგან შეატყობინეს, ბჭობა იანვრის ბოლო რიცხვებში დაიწყობა და მოწვეულ იქმნებიან რუსეთის იმპერიის ყველა სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნიო.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ამ ჟამად დიდძალი ექსპონატები მოუვიდა. ახლა შეუდგა მზადებას სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზედ გასაგზავნად.

ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ტფილისის პოლიცმეისტერსა და მაზრის უფროსებს, შემატყობინეთ, ტფილისის გუბერნიაში თუ რამდენი მომხმარებელი, ან საეკონომიო საზოგადოებანი არსებობსო. სწორედ აღნიშნეთ მათი სახელი და ის, თუ რა ადგილას არისო. ეს ცნობანი უნდა წარედგინოს საგანგებო კომისიას, რომელმაც უნდა შეადგინოს სია სრულიად რუსეთის მომხმარებელ და საეკონომიო საზოგადოებისა.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიზრახა, დააზღვიოს დედათა პროფესიონალ სასწავლებლის ქონება. გამგეობა შეეკითხა სასწავლებლის დირექტრისას, შეგვატყობინე ღირებულობა ქონებისაო.

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოსამსახურეთა დამხმარებელმა საზოგადოებამ სთხოვა ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას, დღეში ოც-ოცდაათ ფუთს ხორცს წავიღებთ ფუთზე აბაზი დაგვიკელითო, ან დუქნის განყოფილება დაარსეთ მიხაილოვის ქუჩაზედ და შენობას მუქთად ჩვენ დაგითმობთო. მეთვალყურე კომისიამ დაადგინა, ორის კვირის განმავლობაში დაუთმოს ხორცი და შემდეგ არსებითად განიხილოს ეს თხოვნა.

ქალაქის თავმა ქალაქის გამგეობას გადასცა განსახილველად ხმოსან თამამშევის განცხადება გაზეთის წარმომადგენელთა გამგეობის, ან კომისიის კრებაზედ დასწრების შესახებ. გამგეობამ დაადგინა, ხმ. თამამშევის განცხადება გადასცეს განასახილველად ქალაქის საბჭოს და ამასთანავე აცნობოს ის მოტივები, რომლის მიხედვითაც ქალაქის თავმა არ დააკმაყოფილა ეს განცხადება.

ტფილისის კრუჟოკში 5 დეკემბერს ზემო ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენის სასარგებლოდ გაიმართა საცეკვაო საღამო საკონცერტო განყოფილებით. საღამოს გამგედ კნეინა თ. დ. გრუზინსკისა და საზოგადოების გამგეობის წევრი ს. ფრენკელი იყვნენ. შემოსავალი პრემიებიდგან ყოფილა 990 მანეთი 30 კაპ., ხარჯი ყოფილა 470 მანეთი 11 კაპ. გამასწორებელ ახალშენის გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საღამოს, ან შემწეობა აღმოუჩინეს პრემიებით.

კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობამ დაადგინა და უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი. სულ საავადმყოფოს (სულით ავადმყოფთა განყოფილებისა და საფერშლო სკოლითურთ) დასჭირდება 134,866 მანეთი.

ხორცის დუქნების გამგე კომისიამ დაადგინა, მოუსპობს წვრილ ვაჭრებს ქალაქის დუქნებიდგან მთელის დაკლულის საქონლის გასასყიდად გატანა, რადგან საქონელი ძალიან გაძვირდა და ამასთანავე წვრილი ვაჭრები ჯეროვანად არ არ ასრულებენ კომისიის დადგენილებას ნიხრის შესახებ.

შაბათს ავჭალის ქართულ თეატრში დანიშნულია წარმოდგენა. სცენის მოყვარულნი წარმოადგენენ ავ. ცაგარლის 4 მოქმედებიან კომედიას „ციმბირელი“.

14 იანვარს სარტისტო საზოგადოების დარბაზში ბ-ნი კასპაროვიჩი წაიკითხავს ლექციას, „ახალი ხელოვნება (დეკადენტობა), სიმბოლისმი და სიყვარული“. ბ-ნი კოსპაროვიჩი ცნობილი ლექტორია. ლექციები წაუკითხია როგორც საზღვარ-გარედ აგრეთვე რუსეთის ქალაქებში,

თ-დი ა. ნ. სუმბათაშვილი სწერს მოსკოვიდგან ერთს ჩვენს თანამშრომელს: „დიდის აღტაცებით და სიხარულით წავიკითხე თარგმანი გ. ყიფშიძისა, რომელიც სწორედ ჩინებულია. მოახსენეთ როგორც „ივერიის“ რედაქციას, ისე გრ. ყიფშიძეს ჩემი განუსაზღვრელი მადლობა... მოუთმენლად ველი დასასრულს. წარმოდგენილი მაქვს, თუ რა კარგად იქმნება ნათარგმნი ნამდვილი ქართული სცენები“.

ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტმა უკვე გადასწყვიტა წარმოადგინოს ქართულად „ღალატი“ თ. ალ. სუმბათაშვილისა, თარგმნილი გრ. ყიფშიძისაგან.

— ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჰაუპტმანის ახალი პიესა „როზა ბერნდტი“ უკვე ითარგმნება ქართულად. პიესა საოცარის სინამდვილითა და სიმარტივით ჰხატავს გერმანიის სოფლის მარტივს ცხოვრებას და თვით ფსიხოლოგიას.

— მოსკოვის სლავიანთა საზოგადოების საბჭომ აირჩია საპატიო წევრად კავკასიის მთავარმართებელი თ-დი გ. ს. გოლიცინი და დაადგინა საზოგადოების სახელით პატივისცემა გამოუცხადოს, როგორც გულმოდგინე და მამაცს განმახორციელებელს რუს-სლავიანთა იდეისას.

სადღეისოდ

აწინდელი ცხოვრება უმთავრესად ისეა მოწყობილი, რომ მისი თავიცა და ბოლოც სიყალბეა, სწორედ ისე, როგორც სიცრუე, მისი ცალი, ხოლო ორნივ ტყუპნი და შობილნი ერთის დედისაგან, რომელსაც ეწოდება ეშმაკობა. ამ სიყალბეს თანვე ახლავს ისეთი თვისება, რომ შეუძლებელია, რომ არ ავნოს ადამიანსა. სასმელია, საჭმელია, ჩასაცმელ-დასახურავი, თუ სხვა რამე, ყველაფერი მოჩვენებულია მხოლოდ თვალისთვის საამო და სხვაფრივ კი მავნებელი. საქმიანობით ჭკუას ეხლანდელი ადამიანი ისე ავარჯიშებს, თითთო სხვისდა სავნებელად ჰქონდეს მინიჭებული ზენარისაგან.

მაგრამ ასე როდია, თუ კაცი ჩაუფიქრდება შობის დღესასწაულების ერთ ფრიად გავრცელებულ ჩვეულებას, რომელიც გერმანიიდან მთელ საქრისტიანოს მოდებული ჩვენშიაც გავრცელდა და რომელიც წარმოადგენს სიყალბეს კი არა, აშკარა სინამდვილეს, მასთანავე მავნებელს.

თქმულებაა იმ მღვიმეს, სადაც იესო დაიბადა, სხვა ხეთა შორის შესავალს უმშვენებდა ერთი ნაძვიცა, ყოველმა ხეხილმა თურმე ნაყოფი გამოიღო, რათა მიეძღვნა, მოგვთა მაგალითისამებრ, ახლად დაბადებულის მესიასთვის, მაგრამ ნაძვი უღონო შეიქმნა და ატირდა ცრემლის ფრქვევითა. ზეცას შეეცოდა ასეთ ყოფაში ჩავარდნილი ნაძვი, მისი სიწრფოების დასაჯილდოებლად და მესიას სადიდებლად გამოგზავნა ჯერ ერთი ვარსკლავი; მერე მეორე, მერე მესამე.—ასე რომ მთლად ვარსკლავებით შეამკო თურმე მტირალი ნაძვი.

აი სწორედ ამ ნაძვს გადავკიდებივართ და მის მაგიერ რომ ვახაროთ ვატიროთ, რადგანაც მისი ცრემლი მისი სიცოცხლის მომასწავებელია, ვცდილობთ მოვჭრათ, სახლში დავიდგათ სულ ამოხდილი, მოვრთოთ ყალბის ვარსკლავებით და დღესასწაულებს რომ გავისტუმრებთ ცეცხლს შევაკეთოთ.

მართალია იესოს შობა საბავშვო დღესასწაულია, მაგრამ ნაძვის მოჭრას და შობის ხედ დადგმას აღმზრდელი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ამ ადათს ტყის განადგურება მოსდევს. ვინ მოთვლის, ან კი შეიძლება მისი წარმოდგენა, რაც საშობაო დღესასწაულებისათვის ნაძვი მოირება მთლად საქრისტიანოში?

იმავ ყმაწვილებს კი, რომელთა სიამოვნებისთვისაც ნაძვის ხეს ვანადგურებთ, ვასწავლით, ვაყვარებთ ტყის გაშენებას და ასე გაშინჯეთ, ტყის ნერგის ჩაყრის დღესასწაულიც კი გვაქვს შემოღებული.

ნუ თუ არ ეთქმისთ არა ქრისტიან ხალხებს, რასაც ერთის ხელით აკეთებთ, იმას მეორეთი აფუჭებთო.

აი აქ, ამ საშობაო დღესასწაულებისათვის გვესაჭიროება ყალბი ნაძვის შემოღება. მაგრამ შეუძლია კი ჩვენს აწინდელ ცხოვრებას წარმოიდგინოს სიყალბე და ისიც მარგებელი?

ვინ იცის, თუ ერთმა ჰსცადა, ეგებ მეორემ მიჰბაძოს და უმისოდაც განადგურებული სამშობლო ტყე ცოტა წელში გაიმართოს.

კლდია

ჩვენებური ამბები

სოხუმი. 14 დეკემბერს სოხუმში აკურთხეს ადგილობრივის საქველ-მოქმედო საზოგადოების მიერ გამართული ღამის თავშესაფარი. ამ თავშესაფარში გაჭირვებულს ხალხს ღამის გათევის გარდა შეუძლიან აგრეთვე ჩაი და ცხელი საჭმელი მიიღოს.

თუმცა სულ რაღაც ორი კვირაა, რაც თავშესაფარი გაიმართა, მაგრამ ახლავე იმდენი ხალხი აწყდება, რომ ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს ხალხსა და, როგორც ამბობს გაზეთი „შავი ზღვის უწყებაი“, საქველ-მოქმედო საზოგადოება უკვე შეეცადა თავშესაფარის გამართვას. ამ გაზეთის სიტყვით, თავშესაფარში ყოველ დღე ორასზე მეტი კაცი მიდის.

შეიძლება არავინ დაიჯეროს, ასეთ პატარა ქალაქის თავშესაფარში ამდენი ხალხი მიდიოდეს, მაგრამ ვინც სოხუმს იცნობს, იმას უსათუოდ ეცოდინება, რომ არც ერთს ქალაქში ამდენი მაწანწალა არ დაეხეტება, როგორც აქ.

თქვენ აქ ყოველს ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით სიცოცხლით სავსე და ჯანსაღ ადამიანთა გროვებს, რომელთაც დაუკარგავთ ყოველივე სირცხვილი, გაუწ [illegible]

ფელეტონი

როსტომი.

(სურათი წარსულისა)

I

ცა ინგრეოდა. მისი ჭექა-ქუხილი შიშის ზარსა სცემდა ანდაქის მთების არე-მარეს. დამელუპოსო, შეშინებული მეცხვარე რებდა თავის ცხვარს ტაფობაში. ში- ნილი მწყ ცი გამოქვაბულს ეძებდა, შეუფარა. ანდაქის წყალიც მი- ჩქუმდა ღრმა და ვიწრო კალა- ში. მოიჩრდილა, მობნელდა არე-მა- ერთის წუთას გაინავარდა და შეეთა- სიო მთის ათასფეროვან ყვავილებს. ად შეწყდა ჭრიალი, ჭექა-ქუხილი და სიჩუმე ჩამოვარდა; მაგრამ ბევრ არ გასტანა ამ მყუდროებამ. იგრია- უფრო საზარლად და სეტყვად ჩამო- ჰემლა ცა. ჭექა-ქუხილი და სეტყვის სა- ელი გაშმაგებული ღრიალი რაღაც ჯო- ეთს წარმოუდგენდა კაცს. მალე ხნის ვლობაში თეთრი ზეწარი გადაეკრა ს...

მ დროს მთა-მთა მიეშურებოდა სო- ელ მუცოსაკენ შეკალთავებული, გუდა- ბდიანი, ხელში თოფ დაჭერილი ვინმე ყმე. უმცა სველი სასხლეტიანი გზა ამ მოყმეს წინ სვლას, სეტყვა ცხვირ პირში სცემდა, მაგრამ მაინც ისე ყოჩაღად ქედ-მოუდრეკლად მიდიოდა, თითქო ჯოჯოხეთური-კი არა, მშვენიერი დარი დგასო.

სოფელი მუცო, რომლის მცხოვრებნი ქისტები და ხევსურები არიან, აშენებულია ერთ მტრისათვის მიუდგომელ მთის კალთაზე. მოყმე შევიდა სოფელში. არსად არავინ არ სჩანდა, არც რამე ხმაურობა ისმოდა. თითქო იმ სოფელში სიცოცხლე შეწყვეტილიყო და მის მაგივრად სიკვდილს გაეშალა თავის მძლავრი ფრთები. უცნობი მიადგა ერთ ორ სართულიან, პიტალო იპის ქვით აგებულ სახლის კარს და დააკაკუნა.

— ვინ არის?—მოისმა ხმა შიგნიდან. ხმაზე ეტყობოდა, რომ მანდილოსანი უნდა ყოფილიყო.

— სტუმარი.

კარები გაიღო.

— სტუმარი ღმერთისაა, მობძანდი.. დაუხვდა მოყმეს ფრიად მოხუცებული მანდილოსანი,—ოჰ საბრალო ამ დროს გარეთ... როგორ წყურწყურით ჩამოგდის წყალი... შეგცივა, ავად გახდები... მოდი, მოდი ცეცხლთან,—ეპატიჟებოდა ხევსურის დედაკაცი სტუმარს. იქვე სახლის კუთხიდან მოიტანა შეშა და დააყარა ცეცხლზე, რომელიც ოდნავ-ღა ბჟუტავდა.

ცეცხლმა ბევრ ხანს არ აცდევინა, სასიამოვნო ტკაცა-ტკუცით [illegible] გაანათა ხევსურის კერა.

— მოიხადე გუდა-ნაბადი, თოფი, ნუ გერიდება, შენი სახლია, სთხოვა მანდილოსანმა.

სტუმარმა მოიხადა წყლით გაჟღენთილი გუდა-ნაბადი, თოფი იქვე კედელზე ააყუდა და მივიდა ცეცხლთან.

— უიი, როგორ იქნება მაგ ტანისამოსში დარჩე, მთლად წყლით გაჟღენთილა, როდის უნდა გაშრეს.

სთქვა და მასპინძელ-ხევსურის დედაკაცმა ჩამოიღო კედელზე ჩამოკიდული ჩოხა-ახალუხი, წინდები და მიუტანა სტუმარს.

— აი ესენი ჩაიცვი, შვილო, ჩემი შვილისაა, შეგცივა.

— ნუ შესწუხდები, დედავ,—უთხრა სტუმარმა, არა მიჭირს-რა, ზედ გავიშრობ ცეცხლზე...

— ზედ როდის უნდა გაშრეს, მოუთმენლად გააწყვეტინა მადლიანმა მანდილოსანმა,—სიცივე აგიტანს და ავად გახდები.

დამორჩილდა სტუმარი. გამოიცვალა ტანისამოსი.

— მშიერი იქნები, შვილო, ცოტა მაინც შენაყრდი, მოღონიერდები, სთქვა ხევსურის დედაკაცმა და მივიდა კიდობანთან. ამოიღო ტაბაკზე ერთი ნატეხი ფეტვის პურისა, მასთან გამხმარი, თითქმის ქვად ქცეული [illegible] დგა სტუმარს წინ. [illegible] უდგა მოყმეს. რაც საჭმელი არ ენახა და ამისათვის, რასაკვირველია, ხარბად და გემრიელად შეექცეოდა არა მაგდენ სანატრელ ხევსურების საჭმელს. მადლიანმა მასპინძელმა ამოიღო იმავე კიდობნიდან არაყი და პატარა ყანწი.

— სიცივეში კარგია არაყი, შვილო, დალიე, გაგათბობს, მიაწოდა—მასპინძელმა ყანწი.

— კითხვისათვის მაპატიე,—შვილო, მიუბრუნდა მასპინძელი მანდილოსანი სტუმარს, რა გადააკვრევინა რამდენიმე ყანწი სულადის არაყისა,—იერზე და ტანისამოსზე გატყობ, რომ თუში ხარ და რამ გადმოგაგდო აქეთ, სად იყავი, სად მოგამწყვდია ამ ჯოჯოხეთმა სეტყვამ.

— თქვენ მთებში ვნადირობდი, უამბო მოყმემ, და, აბა, ნადირმა ხომ გატაცება იცის კაცისა. გამოვეკიდე ერთ დაჭრილ არჩვს და, თუმცა ცა უკვე ირისხებოდა, მაგრამ მე მაინც თავი ვერ დავანებე ნადირს, თქვენ სოფლის თავს გამიყვანა ნადირმა და იქვე მომამწყვდია სეტყვამ. სწორე გითხრა, ამისთანა ჯოჯოხეთური ამინდი არ მენახა: ისეთი საშინელება იდგა, რომ სუ დამიბნელა არე მარე მინდოდა რამე თავშესაფარი მეპოვა, მაგრამ ამაოდ. ცოფიანი ძაღლივით სიცივისაგან გარეთ სიკვდილს ისევ სოფელში ამოსვლა ვირჩიე. ღმერთი დიდია.—დაასრულა მოყმემ,—ისე ადვილად არ გასწირავს თავის შვილს. მადლობას გწირავ, რომ თქვენ მადლიან სახლში მომიყვანა თორემ, ვინ იცის, რა მომივიდოდა ამ საშიშ დროს უცხო მხარეში...

— რა უცხო მხარე, ღმობიერად უთხრა მოხუცმა მანდილოსანმა,—ეს შენი სახლია და მე შენი დედა ვარ. ხუთი ვაჟი მყავს, ყველა იარაღ ასხმული და მეექვსე შენ იქნები. ხახმატის წმიდა გიორგის რისხვა დამეცეს თავზე, თუ თქვენში გარჩევა ვიქონიო.

ამ დროს ტანი აუკანკალდა მოყმეს და მხრები დაიბერტყა.

— შენ კანკალებ, შეგცივდებოდა,—მივარდა მასპინძელი,—წამო, დაწექი, შენ ძმების ლოგინში, თბილად დაგხურავ, იქნება როგორმე ოფლი მოგივიდეს.

ხევსურის დედაკაცმა მიიყვანა სტუმარი სახლის ერთ კუთხეში, სადაც დაგებული იყო თივა და ზედ ეყარა ცხვრის და ნადირის ტყავები. ჩაწვა სტუმარი თივაზე, დედაკაცმა დააყარა ზემოდგან ტყავები, მოუჭუჭკნა წინ და უკანიდან და ფეხქვეშ.

ჩქარა მიეცა ტკბილ ძილს დაღლილ დაქანცული სტუმარი.

ივ. ბუქურაული.

(დასასრული იქნება)

სამათხოვროდ და თანაც, რასაც დაახელებენ, იპარვენ სახლებიდან და ეზოებიდან.

აი, ბატონებო, ეს ზარმაცი და მავნე ხალხია მუდმივი სტუმარი ჩვენის თავშესაფარისა და ესენი გაუხდია საზრუნველ საგნად ჩვენს საქველ-მოქმედო საზოგადოებას, როდესაც თითონ შეუძლიანთ საზრდოს შოვნა თავიანთის შრომით, თუ-კი ხელს გაანძრევენ.

სოხუმში მუშა კაცს ყოველთვის შეუძლიან დღეში ოთხი აბაზიდან მანეთ-ნახევრამდე აიღოს და დიდი მოთხოვნილებაც არის ყოველთვის მათში, მაგრამ აბა ერთი გაბედოს ვინმემ და ამ მაწანწალა ხალხს საქმე მიაწოდოს! ისინი უზრდელად მიახლიან პირში: ,,ჩვენ მოწყალებასა ვთხოულობთ და არა სამუშაოსა“.

ჩვენის აზრით საგანს ასცდენია საქველ-მოქმედო საზოგადოება, როდესაც ასე განურჩევლად იღებს თავშესაფარში, ვინც-კი მიადგება კარს. ამით მას სარგებლობის ნაცვლად მხოლოდ ზარალის მოტანა შეუძლიან ქალაქისათვის, რადგან ეს მაწანწალა ხალხი თუ უწინ გავლით შემოდიოდა სოხუმში, დღეს უფრო ხანგრძლივ გაჩერდებიან აქ და მოსვენებას არ მისცემენ მცხოვრებთ თავხედურის მათხოვრობითა და ქურდობით.

თავშესაფარმა მხოლოდ ისეთი ხალხი უნდა მიიღოს, რომელსაც ნამდვილი გაჭირვება ადგია არა თავის სიზარმაცით, არამედ რამე უბედურის შემთხვევით, თორემ დღეში ორასი კაცის გამასპინძლებას საქველ-მოქმედო საზოგადოება, უეჭველია, ვერ შეუძლებს და ისევ ქალაქის კასას მიადგებიან.

დღეს ქალაქი ას თუმან დახმარებას აძლევს წელიწადში საქველ-მოქმედო საზოგადოებას და შემდეგში-კი ორი ამდენსაც მოითხოვენ და ის-კი ავიწყდებათ, რომ მაწანწალათა სამასპინძლოდ-კი არა, წარჩინებულ პირთა შესაწევრადაც ნება არა აქვს ქალაქის საბჭოს დახარჯოს რამე საზოგადო ფულიდან.

ცა - ცა

—

დ. საჩხერე. ამინდი. ქუჩების მორიყვა. ადგილობრივი დარაჯები საქციელი. ეკლესიის უქონლობა და ხალხის გულ-გრილობა. ავაზაკის შეპყრობა და მეორეს მოკვლა. სახაზინო ტყის მცველის მოკვლა. ცეცხლის გაჩენა, ქურდობა.

დეკემბრის ცივმა ჰაერმა დაჰბერა და ახლო-მახლო მთებს თეთრი სუდარა გადააფარა. ბარად-კი ჯერ თოვლი არ არის. შესაძლოა, წელს წვიმებს ზედ თოვლიც მოჰყვეს. მუშა ხალხი მაინც გულს არ იტეხს და შეუჩერებლივ ეზიდება შეშას და სხვა სანოვაგეს საკაი დღეოდ.

როგორც იყო ველირსეთ, ქუჩების მორიყვას და გადავრჩით ტალახს. მაგრამ კიდევ არ შეგვიძლიან ცოტა არ ვუსაყვედუროთ მაინც გზის გამკეთებლებს და მეტადრე მის მეთვალყურეს, რადგან უალაგო-ალაგას დიდრონი ქვებია მოყრილი და მოსწორება უნდა, და ზედ ქვიშის წაყრა, რომ კაცს ფეხი არ გადუბრუნდეს.

კარგა ხანია მას შემდეგ რაც საჩხერეში ჩაგვიყენეს საერო დარაჯები, მყუდროებისა და მშვიდობიანობის დასაცველათ, მაგრამ, სამწუხაროდ იმათ ქართული არ იციან და აქაურებმა რუსული, რომ ერთმანეთს გააგებინონ რამე. ამის გამო უკმაყოფილება იბადება და ბევრჯელ უბრალო საქმეც-კი მწვავდება, როგორც, მაგალითად, 22 ოქტომბერს მოხდა აზ. სპირიდონ აბაშიძის შესახებ.

საჩხერეში ერთად ერთი ხის ეკლესია, რომელიც ეკუთვნის კნ. ელ. წერეთლისას და ბაზარზე ცოტა მოშორებით სდგას. ამ ეკლესიაში ხალხი ძლიერ ნაკლებად დადის.

ეკლესიაში შეხვდებით მხოლოდ ორიოდ თავადს, ჩინოვნიკს და სამრევლო სკოლის მოწაფეებს, რომლებიც ქართულ-რუსულად გალობენ წირვის დროს. ამ ოცდა ხუთის წლის წინად საეკლესიო ალაგი შეუძენიათ ბაზრის ბოლოს და ზედ ტაძრის აგებაც დაუწყიათ აქაურ მცხოვრებთ, მაგრამ უფულობისა თუ გულგრილობის გამო, მარტო კედლებია საქენ ნახევარზედ ამართული. აქ სცხოვრობს 1450 სული; ამათში 22 თავადია, 4 აზნაური და სხვა. განა გასაჭირია ამოდენა მცხოვრებთათვის ერთის ეკლესიის აშენება, როგორიც საჩხერეს შეეფერება?

14 დეკემბერს ღამის მესამე საათზე სოფელ კალვათაში დაიჭირეს ერთი ავაზაკთაგანი, ი. გაფრინდაშვილი, რომელიც ქუთაისის საპატიმროდან გამოიქცა ამ რამ- სამე თვის წინად, იმალებოდა სოფ- ა დიდს ზარალს აძლევდა მცხოვრებლებს. ამ გაფრინდაშვილმა და სხვებმა ამას წინად მიმავალ ებრაელს ვაჭარს წაართვეს ფარდალი და შემდეგ სოფელ საკურწიაში, წირქვალის საზოგადოებაში თავს დაეცნენ ერთ მედუქნეს, შეამტვრიეს კარები დუქნისა და მოსთხოვეს ფული მედუქნე ბიწაძეს. დახლიდარმა მოასწრო გაქცევა და მეორე ოთახის კარებიდან ავაზაკებს ესროლა რევოლვერი. ერთი მათგანი მძიმედ დასჭრა და იქვე დასცა, დანარჩენები-კი გაიქცნენ. ეს დაჭრილი აღმოჩნდა სოფელ ძიძში მცხოვრები აზნ. პიპიკო ბარათაშვილი, რომელიც ქუთაისის სავადმყოფოში მიყვანამდე მოკვდა.

სოფელ ვანში მოჰკლეს ტყის მცველი ალექსი სახვაძე, რომელიც იქნებოდა 45 წლის კაცი. მკვლელობის მიზეზად ამავე ავაზაკების შურისძიება მიაჩნიათ.

15 დეკემბერს საჩხერეში ცეცხლი წაუკიდეს ნესო დუშუაშვილის საბძელს და სასიმინდეს და, დროზე რომ მეზობლებს არ შეემჩნიათ, საჩხერის მთელი ბაზარი ბოროტ-გამძრახველების ,,კოცონათ“ აღიმართებოდა. ამავე ღამეს მოჰპარეს სოფელ ნაჩერქეზევში აზნ. ხახულ გოდაბრელიძეს სიმინდი და სპილენძეული და სხვა ნივთები. აქეთ ისე გახშირდა ეს ქურდობა, ცეცხლის წაკიდება რომ მორიდება აღარ აქვთ. ქორწილშიაც-კი დაიპარეს სტუმრების თბილი ტანთსაცმელი, და იციან, ვინც ბრძანდებიან ეს გამბედავი ვაჟბატონები, მაგრამ არ ამხელენ, რადგანაც ყველას ეშინიან.

ი. ათინაშვილი.

რუსეთი

თანხმად უმაღლესის ბრძანებისა, 1903 წელს ფინლიანდიაში 190 ახალგაზდა კაცით უნდა შეევსოთ ლეიბ-გვარდიის ფინთა მესამე ბატალიონი. თუმცა ბატალიონი შეივსო, მაგრამ ბევრი ახალგაზდა არ გამოცხადდა არჩევნებზედ. ამის გამო უმაღლესის რესკრიპტით, 18 დეკემბერს 1903 წელს, ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს დაევალა არჩევნებზედ არ გამოცხადებულ ახალგაზრდების შესახებ შემდეგი ღონისძიება მიიღოს:

1, სახელმწიფო სამსახურში მყოფნი დათხოვნილთ იქმნან;

2, ხუთის წლის განმავლობაში პასპორტი არ მიეცეთ საზღვარ-გარეთ წასასვლელად.

3, შუამდგომლობათა განხილვის დროს შესახებ ჯარიმების პატიებისა ხაზინიდგან, დახმარებისა და სესხის მიცემისა საზოგადოებათა თუ კერძო კაცებს მხედველობაში მიღებულ იქმნას რავდენად ხელს უწყობდნენ ანუ ეწინააღმდეგებოდნენ სამხედრო ბეგარის კანონთა აღსრულებას;

4, მაღალ სასწავლებელთა მოწაფეთ, რომელნიც არჩევნებზედ, შესამოწმებლად ანუ სამსახურში ჩასარიცხად არ გამოცხადნენ, დათხოვნილ იქმნან სასწავლებლიდგან ერთის წლის ვადით.

ამასთანავე გენერალ-გუბერნატორს მიენიჭა უფლება ნებაყოფლობით სამხედრო ბეგარაში ჩარიცხული ახალგაზრდები სრულიად გაანთავისუფლოს, უკეთუ ღტოლვილნი მონახეს, ანუ სათადარიგო ჯარში ჩარიცხოს.

— უკეთუ 1904 წელსაც გაჰბედავს ვინმე არ გამოცხადდეს სამხედრო ბეგრის არჩევნებზე, მაშინ დამნაშავენი ჩარიცხულ იქმნებიან იმ ჯარებში, რომლებიც ფინლიანდიის გარეშე არიან დაბინავებულნი;

— უმაღლესის ბრძანებით, 18 დეკემბერს 1903 წელს, გელსინგფორსში დაარსებულ იქმნება სახელმწიფო ბანკის განყოფილება და შემდეგ, საჭიროებისამებრ, ფინლიანდიის სხვა ქალაქებშიაც დაარსდება.

როგორც ვიცით, სახელმწიფო ბანკის განყოფილების დაარსება ადგილობრივ თვით-მმართველობას არა სურდა.

— უმაღლესის ბრძანებით, 18 დეკემბერს 1903 წელს, თანხმად ფინლიანდიის სენატის მოხსენებისა, პასუხის გებაში აღარ მიეცემიან ალგაზრდა კაცები, რომლებიც არ გამოცხადნენ სამხედრო ბეგრის არჩევნებზე 1902 წელს.

— იაროსლავის გუბერნიის საერობო კრებას ადგილობრივი საზოგადოება დიდის ყურადღებით ეპყრობოდა. 17 დეკემბერს-კი მრავალი ხალხი მოგროვდა საერო კრების დარბაზში. ამ დღეს განსაკუთრებულ კომისიას უნდა წარმოეთქვა თვისი აზრი ერთს მეტად საჭირო საგანზედ. დიდის ხნის ლოდინის შემდეგ, საერობო გამგეობამ შემდეგი მოხსენება წაიკითხა: აღიძრას შუამავლობა, რომ იმ კანონ-პროექტების განხილვაში, რომლებიც სამინისტრომ უნდა შეადგინოს და შეიმუშაოს, თანხმად 26 თებერვლის 1903 წლის მანიფესტისა, იაროსლავის ერობის წარმომადგენელთაც შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ, რათა ადგილობრივი მოთხოვნილებანიც მთავრობამ მხედველობაში იქონიოს კანონ-პროექტების დამტკიცებამდე; როდესაც სამინისტროს მსჯელობა ექნება საერთო კანონების შეცვლის შესახებ სხვა-და-სხვა გუბერნიების წარმომადგენელთა მონაწილეობით, იაროსლავის გუბერნიის წარმომადგენელნიც მიიწვიონ, რომელთაც საერობო კრება აირჩევს; ამ შემთხვევაში საერობო კრებას წინადვე ეცნობოს, რა საგნებია განსახილველად დანიშნული, რომ ერობამ წარმომადგენლებს თვისი სურვილი და მოსაზრება გაუცხადოს. კრებამ ერთხმად მოიწონა ეს მოხსენება და დაავალა გამგეობას კრების შუამდგომლობა მთავრობას წარუდგინოს.

უცხოეთი

რომი. (საკუთარის კორესპონდენტისაგან) რადგანაც რომის ახალ პაპს თავისი აზრი ჯერ საქვეყნოდ არ გამოეთქვა, თუ როგორ განწყობილებას იქონიებდა იტალიის მთავრობასთან, ამისთვის ბევრს ეგონა, რამე ცვლილებას მოახდენდა და ნებას მისცემდა იტალიელ კათოლიკებს მონაწილეობა მიეღოთ სამთავრო-საპოლიტიკო საქმეში. ესეთი მოლოდინი არ გამართლდა, რადგან გასულის წლის 18 დეკემბერს პაპმა წერილი გამოსცა „Motu Proprio“, რომლითაც დაამტკიცა და განაახლა პიო IX და ლეონ XIII-ის განკარგულებანი «nonexpedit» აკრძალვის შესახებ. ამგვარად იტალიელ კათოლიკების საპოლიტიკო მდგომარეობა უცვლელად დარჩა. შეიძლება პაპმა იმიტომ არ მოახდინა არავითარი ცვლილება, რომ უკანასკნელ კათოლიკეთა პოლონელ კრებაზე დამსწრე- [illegible] საგნის შესახებ ორ დასად გაიყვნენ [illegible] ერთობა არ აღმოჩნდა: [illegible] რაიმე ცვლილების მოხდენა, [illegible] ახალგაზრდობამ-კი დიდი სურვილი გამოაცხადა სამთავრო-საპოლიტიკო საქმეში მონაწილეობის მიღებისა. ამისთანა მძიმე საკითხზე უეჭველად საჭირო იყო, ყველანი შეერთებულიყვნენ და თავიანთი სურვილი ერთპირად გამოეცხადებინათ.

იაპონია. გერმანიაში თითქმის ყველა იმ აზრისაა, რომ ომი რუსეთსა და იაპონიას შორის აუცილებელია, და უხარიანთ, რუსეთი გაიმარჯვებს თუ დამარცხდება, მაინც ძალზე შესუსტდება და ათს წელს მაინც ზურგს ველარ მოიმაგრებსო. ამ დროს-კი გერმანია მეზობლის დასასუსტებლად არც ერთს ჯარის-კაცსა და არც ერთს გროშს არ დაჰკარგავსო. რუსეთი თავის თავს შეასუსტებს არა მარტო შორეულ აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიაც, საფრანგეთს მისი მეგობრობა ვეღარ გამოადგება და მის დიპლომატიას წინანდელი მნიშვნელობა აღარ ექმნება ევროპის საქმეებშიო. მხოლოდ ერთი გერმანელი მწერალი, გრაფი რევენტლოვი, დიდად გამოცდილი — ზღვაოსნობაში, სხვარიგად ჰფიქრობს. თუმცა ისიც იმ აზრისაა რომ რუსეთი ორივ შემთხვევაში გაიმარჯვებს. თუ დამარცხდება, მაინც შესამჩნევად დასუსტდება, მაგრამ იმას მაინც სასურველად არ მიაჩნია, რომ აზიელებმა სძლიონ ევროპიელნი, და ეს არც შესაძლებელიაო. იაპონია მხოლოდ მაშინ გადიყვანს თავის ჯარს კორეის ნახევარ კუნძულზე, როდესაც ზღვაზე გაიმარჯვებსო. რომ გაიმარჯვოს კიდეც ზღვაზე, რაც დიდად საეჭვოა, ხმელეთზე რუსს ვერას დააკლებსო. თუმცა იაპონელები დახელოვნებული მეზღვაურები არიან, ხოლო მათ თვისი ძალღონე ჩინეთთან უცდიათ და ჩინეთზე გამარჯვება არ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ რუსებსაც დაამარცხებენო. რუსი ცნობილია, როგორც მამაცი გულადი, ენერგიული და ამასთან ყველა გაჭირვებას ადვილად იტანსო.

მაკედონია. თუმცა ოსმალეთი თითქო აჩქარებით შეუდგა რუსეთ-ავსტრიის პროექტის განხორციელებას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, მაგრამ ოსმალთა და ქრისტიანეთა შორის ჯერ ისევ დიდი განხეთქილებაა. ადრიანოპოლიდან შემდეგს შემაძრწუნებელს ამბავს ატყობინებენ გაზეთ ,,დეილიურს“ სოფიაში. ადრიანოპოლის რედიფთა ბატალიონი, რომელიც მცირე-ტირნოვოში სადგურობს, შეესია კათოლიკეთა მონასტერს და მოლოზნები გააუპატიურა. ერთს მათგანს ლაწვი ამოათალეს. ამბობენ მოლოზანთა შორის ერთი პოლონელი გრაფინია ყოფილა. ამ ამბავმა მთელი ხალხი ააღელვა. პატივ-ახდილი მოლოზნები სტამბოლს ჩავიდნენ და საჩივარი განაცხადეს. ევროპიელთა კონსულების შუამდგომლობით, სტამბოლიდან ჯარი გაიგზავნა და მთელი ბატალიონი დაპატიმრებულ იქმნა. ბულგარები ყოველ დღე უჩივიან ოსმალეთის ჯარის-კაცებს, მაგრამ ყურადღებას არავის აქცევს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

კვირას, 4 იანვარს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა, ვლ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ, წარმოადგინა შილლერის უკვდავი ტრაგედია „ყაჩაღები“. როგორც ყოველთვის, ამ საღამოსაც აურაცხელი ხალხი დაესწრო საყვარელის მსახიობის ბენეფისს.

წარმოდგენამ მეტად მწყობრად ჩაიარა; არ ვიცით ახალის წლის ხათრია თუ მობენეფისეს პატივისცემით, ჩვენს მსახიობებს ამ ხანად, როლები კარგად ჰქონდათ შესწავლილი. პირველობის გვირგვინი, რასაკვირველია, ისევ და ისევ მობენეფისეს — ვლ. ალექსი მესხიშვილს ეკუთვნოდა; ფრანც ფონ-მოორის როლი ერთი საუკეთესოთაგანია მესხიშვილის რეპერტუარში, და მან თავიდგან ბოლომდე მეტად უნაკლულოდ და დიდის ხელოვნებით ჩაატარა, რის გამოც საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მესხიშვილი ამ საღამოს შეუძლოდ იყო და ხმაც ღალატობდა, თუმცა სცდილობდა, არავის შეემჩნია.

მეტად საუცხოვოდ და უნაკლულოდ ჩაატარეს თავთავიანთი როლები ქ-ნმა ნ. ჩხეიძემ (ამალია) ბ-ნმა: გ. ყიფიანმა (მაქსიმილიანე ფონ-მაორი), ი. ივანიძემ (როლლერი) ბ-ნმა სვიმონიძემ, (კარლოსი) ბ. გედევანოვმა (პატრი და დანიელი) კ. შათირიშვილმა (რაცმანი) და სხვ.

მობენეფისეს მრავალი ძვირფასი საჩუქრები მიართვეს. მადლობა ღმერთს რომ თეატრს ეშველა და ეხლა აღარა ციოდა.

—

ქართული წარმოდგენა არაქსიანის თეატრში. 2 იანვარს ქართულ სცენის მოყვარეთა დასმა გამართა იაფ-ფასიანი წარმოდგენა (ადგილის ფასი 15 კ. — 90 კ.-დე). წარმოადგინეს ვ. [illegible] წარმოდგენამ [illegible] ხალხს ძალიან [illegible] ლი მოქმედების შემდეგ მრავალი [illegible] და ვაშათი აჯილდოვებდნენ [illegible] არაქსიანის თეატრში ეს პირველი იაფ-ფასიანი წარმოდგენაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სცენის მოყვარენი შემდეგაც ასე განაგრძობენ თავიანთს დაწყებულს საქმეს. ამ საღამოს თეატრი თითქმის სავსე იყო ხალხით და ეს-კი იმისი მაჩვენებელია, რომ ხალხს წარმოდგენებზე დასწრების სურვილიც-კი აქვს, მაგრამ სიძვირეს უფრთხის.

თუ სცენის მოყვარეთ უმარჯვეს ასეთს წარმოდგენებს (საჭიროა უკეთესი რეპერტუარი), ხალხს დიდს სარგებლობას მოუტანენ და, იმედია, არც თვითონ იზარალებენ. რამდენათაც შევიტყვეთ, ამ სცენის მოყვარეებში თვით ბ. არაქსიანიც უმახლობელეს მონაწილეობას იღებს და თურმე დახმარებაც აღუთქვამს. — განცხადებიდან სჩანს; რომ შემდეგისთვის წარმოსადგენად პირობენ სომხურიდან ნათარგმნს პიესას «ასლან ბალასი»

—

ქუთაისი. კვირას, 21 დეკემბერს, ქალაქის თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ ტასო საბაშიძისა და ვლადიმერ ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა ოსტროვსკის ხუთ მოქმედებიანი კომედია «შემოსავლიანი ადგილი» (ДОХОДНОЕ МѢСТО). წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად, სრულის ანსამბლით, ჩაიარა. განსაკუთრებით, როგორც მოსალოდნელიც იყო, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო თავისს შემხიბლავის შესანიშნავის თამაშობით ჩვენმა სასიქადულო მსახიობმა ვლ. ალექსი-მესხიშვილმა (აკიმ აკიმიჩ იუსოვი), ყოველი მისი ფეხის გადადგმა, ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა, მიმიკა, სიტყვები სავსებით-ტიპიური გამომხატველი იყო ძველის დახავსებულ მოხელისა. იმ დღეს ხმაც გაცილებით უკეთესი ჰქონდა ჩვენს მსახიობს, ვიდრე წინად. საზოგადოების აღტაცებას, ვაშას ძახილს საზღვარი არ ჰქონდა, ნამეტურ, როცა არაყისა და ღვინისაგან შეზარხოშებული იუსოვის როლის აღსრულების დროს, მუსიკის ხმას მოხდენილი «კამარინსკაია» მოაყოლა მიმიკითა და «ბუქნით», საზოგადოების აღტაცება გაორკეცდა; ქანდარიდამ შეუწყვეტელი «ბის»-ის ძახილიც მოისმა.

კარგი იყვნენ თავ-თავიანთ როლებში ქ. ტასო აბაშიძე (ზოლინა) და ბ-ნი გამრეკელიძე (არისტ. გლად. ვიშნევსკი). დანარჩენნი მსახიობნი თავიანთ როლების სა შესწავლით და სერიოზულ — ფრთ ზიტურით ხელს უწყობდნენ საზო საბედს. წარმოდგენას, სამწუხაროდ გადიება ნაკლებად დაესწრო.

არ შემიძლიან უყურადღებოდ დავტო გარემოება, რომ იმ დღეს თეატრის ბაზმზე და «კარიდორებში» ძალიან ცი ზოგიერთებმა პალტოების წამოსხმაც-კი იკადრეს პარტერში, ზოგნი-კი, ვისაც ზრდილობა ამის ნებას არ აძლევდა გვერდებზე მასხ- ისეს იკეთებდნენ ტემპერატურის ასამაღლებლად, ზოგნიც ელექტრონის განათებით გატაცებულნი, გვერდებისათვის ცოტას ზრუნავდნენ. ძლიერ კარგი იქნება ჩვენის თეატრის გამგეობის კომისია, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს...

ვარლ. ობჩელი.

—

ხონი. წარსულ 27 ქრისტეშობისთვეს, ქუთაისის თეატრის მსახიობმა ბ-ნმა «ნემომ», ქუთაისის და ხონის სცენის მოყვარულთა დახმარებით, ერთ ხონის კერძო ოჯახში გამართა ქართული წარმოდგენა. — წარმოადგინეს ქ-ნ აზიანის ორ-მოქმედებიანი კომედია «გაცრუებული იმედები».

ვიდრე შევუდგებოდე წარმოდგენის აგკარგს, გავაცნობ მკითხველ საზოგადოებას მოკლედ დედა-აზრს აზიანის პიესისას. ქ-ნ აზიანის პიესა აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან — პიესაში დახატულია ორი სხვა-და-სხვა ჯურის, სხვა-და-სხვა მიმართულებების და მისწრაფების ხალხი. ერთის მხრით [illegible]დრის მოყვარულთ, ოქრო და ვერცხლის თაყვანის მცემელთ: სტეფანე ზარალოვს და მის მეუღლეს ნინო ზარალოვისას (ბ-ნ შველიძე და ქ-ნი ბებურიშვილი), მეორე მხრით ვხედავთ პატიოსნებით აღსავსე, მდაბიო ხალხისადმი სიყვარულით გაჟღენთილ ექიმ «ვანოს» ზარალოვის შვილს (ბ-ნი ანაშვილი) და ზარალოვის სასიძოს, ახალგაზრდა ადვოკატს გაბოს (ბ-ნი მდივანი). ერთის მხრით ვხედავთ სტეფანე ზარალოვის ქალიშვილს სონას (ქ-ნი ქუთათელაძე) იდეალისტურ მიმართულებას, მეორე მხრით ტანტი-მანტის, გათხოვების მოტრფიალე, ბუქვარებზედ სულ წასულ ახალგაზრდა ქალიშვილს (ფუცაიშვილი). ზარალოვებმა იმისათვის აზარდეს შვილები, რომ რაიმე მომატებოდათ; ისინი ფიქრობდნენ: გაიზრდებიან ჩვენი შვილები, [illegible] ჩვენზედ მეტ ჰნარს [illegible] ხალხის [illegible] მაგრამ ამაოდ, მშობლებს იმედები [illegible] მათი შვილები სრულიად არ დაემსგავსნენ მშობლებს; ოქრო ვერცხლს თაყვანს არ სცემენ, და ფიქრადაც არ მოსდით საწყალ ხალხს ტყავი გააძრონ, და იმათ ნაოფლარ-ნაშრომი ფულით ტკბილ ცხოვრებას დაეწაფონ. ექიმი ვანო მუქთად ექიმობს ღარიბებს ადვოკატი გაბო უფულოდ იცავს ღარიბთა ინტერესებს სასამართლოებში; სონა ვანოს და, სწავლა-მეცნიერებაზე ზრუნავს, გამუდმებით ტუქსავს და ჰკიცხავს ამხანაგ ქალს, რომელიც მარად გათხოვებაზედ ზრუნავს, მარად ბალ-ვეჩერებს და კოპწია ულვაშის პატრონთ შესტრფის და შეჰხარის! აი ეს არის მოკლე სიუჟეტი ქ-ნ აზიანის პიესის.

რაც შეეხება თამაშს, პიესა საზოგადოდ სუსტად ჩაატარეს. რა ქნას ერთმა ანუ ორმა კარგმა მოთამაშემ, თუ დანარჩენნი მოთამაშენი ნაცვლად ხელის შეწყობისა ხელს უშლიან! კარგად დაგვისურათა შვილის [illegible] რებლობით [illegible] როლი ბ-ნ შველიძემ. მისი გავლა გამოსვლა, თვალების ბრიალი, მიხვრა-მოხვრა, შვილის კიცხვა განუწყვეტლად სიცილს იწვევდა მაყურებელთა შორის. შეუდარებელი იყო ბ-ნი მდივანი ადვოკატ გაბოს როლში. ნაღდად დაგვისურათა ტანჯულ ხალხის მოტრფიალე ადამიანი. მდივანის მკაფიო ხმა მშვენიერი მიმოხვრა მაყურებელთ სიხარულს და აღტაცებას ჰგვრიდა!

დანარჩენი მოთამაშენი თითქმის ყველა სუსტნი იყვნენ, ზოგმა არ იცოდა თუ როგორ დაეჭირა თავი სცენაზე, გრიმი და მორთულობაც ვერ უწყობდა ხელს. ზოგს საძაგელი პარიკი ჰქონდა; მოხუცებულ ქალის მოთამაშისათვის ნახშირით მოეთხუპნა სახე, თითქო ნახშირით შემურვას შეუძლია ადამიანს დაბერება! ერთი გადაპრანჭებით წითელი ფერით შეეღებნა, მაყურებლები მარად გაიძახოდნენ: მორცხვი ყოფილაო! ზოგს თავის დროზედ ავიწყდებოდა სიცილი, და რამდენიმე ხნის შემდეგ უდროვო-დროს წამოიძახებდა «ხა-ხა-ხა-ო»! სომხის როლის მოთამაშეს დრო-გამოშვებით ავიწყდებოდა, რომ ის სომეხს თამაშობდა, და ურიულ კილოზედ დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს!

«გაცრუებული იმედების» შემდეგ უნდა ეთამაშათ ა. ჩეხოვის ერთ მოქ. ვოდევილი «დათვი», მაგრამ ვიღაცამ კარებიდან შემოიძახა, «არიქა, თავს უშველეთ, სახლი იქცე

ს გაგონება იყო და, ყველამ მივა-
ეატრი, და გამოვცვივდით კარში.
გვეხვეწნენ დავბრუნებულიყავით და
დე მოგვესმინა წარმოდგენა, მაგრამ
შიშმა აიტაცა და ვეღარ გაბედეს და-
ა შესვლა, რის გამო უდროვო-დროს
სახლში დაბრუნდა.
მოდგენას ხალხი ბლომად დაესწ-
კარგად ითამაშეს, თუ ცუდათ, მაინც
მადლობის ღირსია ბ-ნი „ნემო“ და
ნის მოყვარენი, რომელთაც მიძინებული
ნი ამ დღესასწაულებზედ ერთხელ მაინც
აღვიძეს.—

ილია ბახტაძე.

—

ხონი. 28 დეკემბერს ხონის სასუ-
სემინარიასთან არსებულ პირველ და-
ის სკოლაში ბ-ნ ემელიან ცაგარეიშვი-
თაოსნობით გაიმართა უფასო სალიტე-
ური საღამო. უკრავდნენ მუსიკას, ამბო-
ენ სიმღერას რუსულ ქართულად, ითამა
რუსულად დუგაშევიჩის 2 მოქმედებიანი
«Въ сельской школѣ», სთქვეს ლე-
რუსულ-ქართული და გამართეს ბუნდო-
სურათები.
დის მადლობის ღირსია ამ საღამოს
მართველი ბ-ნი ცაგარეიშვილი მით უმე-
, რომ ამ საღამოს უმეტესი ნაწილი
ურებისა მდაბიო ხალხი, ბავშვების მშო-
ები თუ ნათესავები იყო. საღამომ, რო-
საც ხალხი ბლომად დაესწრო, მშვენივ-
არა. მდაბიო ხალხის სიხარულს საზ-
ვარი არ ჰქონდა.

მიხა

წ ე რ ი ლ ი

რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულის
ის საშუალებით ულრმესი მადლობა
უცხადოთ ტომსკის ქართველ სტუ-
დენტებმა „ივერიის“, „კვალის“, «მწყემ-
», „ახალ მიმოხილვის“ და „ცნობის
ფურცლის“ რედაქციებს, რომელთაც კე-
ლ ინებეს და მიმდინარე წელს გვიგ-
ზავნეს თავიანთი გამოცემანი: პირველ
ით ნახევარ ფასად—მესამემ და მეოთ-
ხემ უსასყიდლოდ—ხოლო უკანასკნელმა
მანეთად; უმორჩილესად ვსთხოვთ მო-
ვალ წელსაც გვიგზავნონ, რისთვისაც
ფრიად მადლობელნი ვიქნებით.
ვუძღვნით დიდს მადლობას აგრეთვე:
წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადო-
ებას, ჩვენს თანამემამულეს—პროფესორს
ლ. ხახანაშვილს და ივანე პავლეს ძე
ელშენიშვილს, რომელთაც ტომსკის ქარ-
თველთა სტუდ. წიგნთ-საცავს შემოსწი-
რეს ძველი და ახალი გამოცემანი (25
ეთისა)—პირველმა; 1) Очерки по
торіи грузинской словесности“ 2)
ревнѣйшіе предѣлы разселенія гру-
нъ по Малой Азіи“, 3) „Номока-
нъ Іоанна Постника“, 4) Есть—ли
узино-католики“—მეორემ, და «კბი-
ნი და ბთი მოვლა“ უკანასკნელმა.

ტომსკის ქართველ სტუდენტების მონდობილობით სტ. პავლე გარნიაშვილი

დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 იანვარი

სოფია. მხედრობის გაძლიერებასა და
ვალ ოფიცრის დანიშვნას აქ თვლიან
ომიანობის ნიშნებად, არამედ ღო-
ნისძიებად ყოველგვარ შემთხვევისათვის.
ბულგარიას აზრად არა აქვს, ომი დაიწ-
, მაგრამ მოვალეობად სთვლის მზად
თავის დასაცველად. გაზეთები იუწ-
ან რევოლიუციონერებსა, სხვა-და-
კომიტეტის წევრებსა, რომელნიც
რიაში იმყოფებიან, და მაკედონე-
შორის უთანხმოება და ხშირად
შეტაკებაც ხდება, რომ სისხლი
იღვრებაო. ეს შინაური განხეთქილება
აფერხებს მაკედონელ მოღვაწეთა სოლი-
დარობის მუშაობას.

— ოპოზიციას აზრად აქვს განაგრძოს
ობსტრუქცია.

— სტამბოლიდან იუწყებიან, უკანასკნელ
ხანებში პორტა სრულიად თანახმაა, შეი-
წყნაროს რუსეთისა და ავსტრიის სურვი-
ლი შესახებ სამოქალაქო აგენტებისა, ჟან-
დარმერიისა და კონტროლისა.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტა-
მენტმა იაპონიიდან ცნობა მიიღო, რომ
განსაცვიფრებელ ენერგიით ემზადე-
ბიან საომრადაო; თუმცა რუსეთი ამბობს,
მშვიდობიანობის დაცვა მსურსო, მაგრამ
თავის მხრივ დათმობა არ სწადიან არაფ-

პეკინი. როგორც ინგლისის კონსული იუწყება ნიუ-ჩჟუ-ნიდან, რუსეთის ჯარები თავს იყრიან ლიაოიანსა, ხაიჩენსა და ტიან-ჩჟუანში; აქედან რუსეთს შეძლება ექნება, დაიპიროს მდინარე ლიაოსა და დიდ კედელ შუა მდებარე ადგილი და თავის სრულ განკარგულებაში იქონიოს ნიუ-ჩჟუან-შანჰაიგუანის რკინის გზის ლიანდაგი.

ტოკიო. ყველა გავლენიანი გაზეთი ამ ჟამად ომს აუცილებლად სთვლის, ბეჯითად თხოულობს, რომ იაპონია ომისათვის არავითარ ხარჯს არ შეუშინდეს, და არწმუნებს ერს, სამშობლოს საკეთილდღეოდ მსხვერპლი შესწიროს. ხაზინაში ნება-ყოფლობით შემოაქვთ დიდ-ძალი შეწირულება.

ლონდონი. იაპონიის ელჩმა განუცხადა «რეიტერის სააგენტოს» წარმომადგენელს, რომ ბერლინიდან მოსული ცნობა, ვითომ იაპონიას წარედგინოს კონტრ-წინადადება კორეიისა და მანჯურიის ნაწილის ნეიტრალიზაციის შესახებ, ყოველ საფუძველს მოკლებულიაო. „ჩვენ გვსურს ჩამოვარდეს მეგობრული შეთანხმება, რომლის ძალითაც რუსეთმა უნდა აღიაროს პოლიტიკა „ღია კარებისა“.

იაკუტსკი. ბარონ ტოლის ძებნამ ახალ-ციმბირის კუნძულებსა და „ბენეტ“-ზე უნაყოფოდ ჩაიარა. „ბენეტ“-ზე ტოლს დაუტოვებია საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ 1902 წელს 29 ოკდომბერს სამხრეთისაკენ გამგზავრებულა.

ბერლინი. დაიწყო კრებანი პრუსიის ლანდტაგისა. იმპერატორმა მკაფიოდ და ყველასათვის გასაგონის ხმით წაიკითხა სეფე-სიტყვა.

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“ აღნიშნავს, რომ შორეულ-აღმოსავლეთში ევროპის სახელმწიფოთ თანასწორი სამხედრო ძალა არა აქვთ აქამომდე. სავაჭრო ინტერესებისა გამო ერთმანეთის მეტოქე ინგლისისა და იაპონიის კავშირი ხანგრძლივი არ არის. იაპონიის ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია კორეასა, მანჯურიასა და კვანტუნზე და შესაძლებელია, შემდეგ ყურადღება ჩინეთის სამხრეთ ნაწილსაც მიაპყროს და ეცადოს, იქ თავის მოკავშირე ინგლისის საზარალოდ იმოქმედოს. მშვიდობიანობა მაშინ გამტკიცდება, როდესაც ინგლის იაპონიის კავშირი მოისპობა, და ინგლისი-რუსეთსა და საფრანგეთს დაუკავშირდება. შინაურ მიმოხილვაში გაზეთი აღნიშნავს ნამესტნიკის სიტყვით ჯარების უფროსისა და ჩინეთის რკინის გზის მმართველის მიერ გამოცემულ ბრძანებას, რომლითაც ევალებათ ყველა უფროსებს, ჩააგონონ ჯარის-კაცთ და ხელქვეითს აგენტებს, რომ ჩინეთის მცხოვრებთა თავმოყვარეობა და სარწმუნოება არ შეურაცხჰყონ, რადგანაც ამ მცხოვრებთაც ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ჩვენა, მოითხოვონ პატივი სცენ მათს ადამიანურ ღირსებას, ზნე-ჩვეულებას, რწმენას, ქონებრივსა და ოჯახურს უფლებას. უნდა ვეპყრობოდეთ მტკიცედ, სამართლიანად. გულსკეთილობით ვინც ცოტაოდენ თვით-ნებობასა და ძალ-მომრეობას გამოიჩენს, სასტიკად იქნება დასჯილი. ჩინეთიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ პეკინის სასახლის წარმომადგენელთა შორის აღძრულია საკითხი მემკვიდრის დანიშვნის შესახებ.

4 იანვარი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, შეჩერებულ იქმნას სამის თვით გაზ. „ვოლინ“.

ლონდონი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობათა თანახმად იტყობინებიან ვინიპეგიდან, იაპონ-ის მთავრობის წარმომადგენელმა დაიკვეთა მანიტბის პროვინციაში დიდძალი ხორბალიო.

სოფია. ოპოზიციის მომხრეთაგან დიპლომატთა დასნი გაცხოველებით სჯაბაასობენ ოსმალეთის კომისარის ფერუხბეის მოულოდნელად კონსტანტინეპოლს წასვლის შესახებ.

გუშინ სასახლეში ახალის წლისა გამო გამართული იყო ნადიმი, რომელსაც დაესწრო ყველა უცხოელი აგენტი.

5 იანვარი.

პეტერბურგი. შინაგან-საქმეთა, განათლებისა და იუსტიციის მინისტრებმა და უწმინდესის სინოდის პროკურორმა გადასწყვიტეს სრულიად გაუქმებულ იქმნას გამოცემა გაზეთის „რუსსკაია ზემლია“-სი.—შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო გაზეთი „ნოვოსტი“-ს რედაქციას კვლავ ჰქონდეს ცალკე ნომრობით თვისი გაზეთი.

ლონდონი. იაპონიის ელჩმა სთქვა, რომ ის ამბავი, ვითომ რუსეთმა მიჰმართა ოსმალეთს და ნება-რთვა სთხოვა შავის ზღვის გემების გატარების ღარდანელში და რომ ვითომ ინგლისამ ამაზედ ოსმალეთს აურ-ზარი აუტეხაო, საფუძველს მოკლებულია.

სოფია. («corrapnnden Bureau»)-საგან მთავრობის წარმომადგენლებმა მიიღეს ცნობა, რომ მაკედონიის ზოგიერთს ადგილებში ოსმალეთის მთავრობის კაცნი ბოროტმოქმედობას სწევენ მკვიდრთა შესახებ და ამ სახით ხელს უშლიან რეფორმების შემოღებას და ქვეყნის დამშვიდებას. თუმცა ბოლგარიის მთავრობა მხნედა სცდილობს ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნებას, მაინც არ უნდათ უკან დაბრუნება, რადგან კარგად იციან თვისთა მოძმეთა მდგომარეობა მაკედონიაში და ისევ გაჭირვებულ ცხოვრებას ამჯობინებენ ბოლგარეთში. იმ ამბავმა, რომ ოსმალეთმა პატივება არ მიანიჭა ზოგიერთ აჯანყებულთა, დიდად გული ატკინა აქაურებს.

ნიუ-იორკი. უკანასკნელ 24 დღის განმავლობაში შემოვიდა სან-ფრანცისკოში ხუთის მილიონის დოლლარის ოქრო იაპონიდან. დანარჩენი საფასური შეიარაღებისა და სურსათისა ამ ჟამად გზაშია.

ვაშინგტონი. გარდა მუკდენსა და ანდუნში დანიშნულ უფროს ელჩებისა, რუზველტი დაჰნიშნავს კიდევ ფორმოზაში სავაჭრო აგენტს შორეულ აღმოსავლეთში და ჩააბარებს ვრცელს რაიონს,

სტამბოლი. გამოიცა ირადე, რომ ხელი მოუწერონ გენერალ ჯორჯის პირობაზედ. შესაბამი ოქმი უკვე შედგენილია.

რომი. პორტამ გაუგზავნა შეთანხმებულ სახელმწიფოთა ელჩებს პირი ინსტრუქციის, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ პროვინციის მმართველებმა სამოქალაქო საქმეებში.

ბელგრადი. გრუიჩის გადადგომის შემდეგ, რომელიც მოსალოდნელია ხარჯთაღრიცხვის განხილვის დაწყებისთანავე, [illegible] ასხმა მოიწვევენ დროებით სამი- [illegible] როტიჩის მეთაურობით.

ბერლინი. იმპერატორის ბრძანებით კილსა და ვილჰელმსგაფენში საომარ ფეხზეა დაყენებული თითო რაზმი მეზღვაურთა სამხრეთ აფრიკაში სამსახურისათვის. ჯარი გაიგზავნება 8 იანვარს.

ტოკიო. მეფის მოადგილემ აღუთქვა პორტ-არტურში მცხოვრებ იაპონელებს, ნურაფრის ფიქრი ნუ გაქვთ თუ ვინიცობაა ომი ასტყდაო.

კლოცკი. აქ წაკითხულმა საჯარო ლექციებმა, სენკევიჩისა და სხვა მწერალთა მიერ წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, შემოიტანა 600 მ.

პეტერბურგის ბირჟა 2 იანვარი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,
ბერლინში 100 მარკაში	45,
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,85
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,70
ბირჟის დისკონტი	5—$6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$99\frac{1}{2}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთა ბანკისა	$95\frac{1}{8}$ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	425 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	329 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	276 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	87
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	$92\frac{1}{2}$
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	101 წვრ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 გაყ.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 58 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგვზავნეთ თქვენა

ადრესი: U. 111 an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(50—43)

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

როიალები პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები სხ.-და-სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგნების.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—12)

СЛИВОЧНОЕ МЫЛО
НѢГА
ТОВАРИЩЕСТВА
А. РАЛЛЕ и Ко
МОСКВА.

მსწრაფლ მბეჭდავი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომი.

მიიღება ხელის მოწერა

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი „კვალი“ მეთორმეტე

გამოვა 1904 წელსაც

ყოველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი

ტფილისში: ერთი წლით ღირს 7 მ., ნახევარი წლით—3 მან. 50 კ., სამი თვით—2 მან. თითო ნომერი—15 კ.

ტფილისს გარეთ: ერთი წლით ღირს 8 მ., ნახევარი წლით—4 მ., სამი თვით—2 მან, თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„წერა კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა), რკინისგზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში (რუსის ბაზარი, საეკლესიო სახლში).

ტფილისს გარეთ:

ქუთაისში—მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში—სპირიდონ ქელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჰეჟინაძესთან და კარპე მოდებაძესთან, ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში, ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომეტი შავიშვილთან; საბუნჩოში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერლებს თავიანთ ადრესები გარკვეულად დაწერილი გამოგზავნონ.

ადრესის გამოცვლა ტფილისს გარედ ღირს 40 კ.

ფოშტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.

Дозволено цензурою, Тифлисъ. 3 января 1904   Типографія Е. Хеладзе Русскій базаръ домъ армянс. дух. семинаріи   დროებითი რედაქტორი მ. [illegible], გამომცემელი [illegible]